ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3172314

ნომერი: AR1486640

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ბერუჩაშვილი პ/ნ 01027019012
- თბილისი ვარკეთილის მას. ზემო პლატო II მ/რ კორ. 25 ბ. 65

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 დეკემბრის #1212 ქალაქმშენებლობითი პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 15 მარტის #AR1486640 განცხადებით მომართა კახაბერ ბერუჩაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 დეკემბრის #1212 ქალაქმშენებლობითი პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2008 წლის 10 დეკემბერს გაიცა ქალაქ თბილისში, სოფ. დიღომში, ამხანაგობა „ქვაკუთხედი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #442), #1212 ქალაქმშნებლობითი პირობები.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882014084965, მომზადების თარიღი: 20/02/2014 10:15:11) თანახმად, ქალაქ თბილისში, სოფ. დიღომში, მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: 01.72.14.036.442), მესაკუთრეა ი.ბ.ა „ქვაკუთხედი“. სამსახურში, 2017 წლის 15 მარტის #AR1486614 განაცხადით წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ ი.ბ.ა „ქვაკუთხედი“-ის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია კახაბერ ბერუჩაშვილი, რომელიც სამსახურს მომართავს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს 2008 წლის 10 დეკემბრის #1212 ქალაქმშენებლობითი პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს კახაბერ ბერუჩაშვილის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე კახაბერ ბერუჩაშვილის 2017 წლის 15 მარტის #AR1486640 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 დეკემბრის #1212 ქალაქმშენებლობითი პირობები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.